ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №
2019 წლის ---- ივლისი

ქ. ბათუმი

„ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ქონების და სერვისების მართვის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 16 მარტის №23 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულო **ა დ გ ე ნ ს :**

მუხლი 1.

„ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ქონების და სერვისების მართვის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 16 მარტის №23 დადგენილებაში (გამოქვეყნების წყარო: საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, www.matsne.gov.ge, გამოქვეყნების თარიღი: 21/03/2018, სარეგისტრაციო კოდი: 010260020.35.132.016371) შეტანილ იქნას ცვლილება და დადგენილებით დამტკიცებული „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ქონების და სერვისების მართვის სამსახურის დებულების“:

1. მე-6 მუხლის მე-2 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ე) სახელშეკრულებო მონიტორინგის, საქალაქო მუნიციპალური სერვისების და ორგანიზაციების კოორდინაციის განყოფილება.“.

2. მე-7 მუხლის პირველი პუნქტის „ფ“, „ქ“, „ყ“ და „შ“ ქვეპუნქტები ამოღებულ იქნეს.

3. მე-11 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 11. სახელშეკრულებო მონიტორინგის, საქალაქო მუნიციპალური სერვისების და ორგანიზაციების კოორდინაციის განყოფილების უფლებამოსილებები

1. სახელშეკრულებო მონიტორინგის, საქალაქო მუნიციპალური სერვისების და ორგანიზაციების კოორდინაციის განყოფილება:

ა) ახორციელებს მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების პრივატიზებასთან ან სარგებლობაში გადაცემასთან დაკავშირებული ხელშეკრულებებისა და შეთანხმებების აღრიცხვას.

ბ) ახორციელებს მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების საკუთრებაში, სარგებლობაში ან სხვა ფორმით გადაცემისას ხელშეკრულების მხარეების მიერ ხელშეკრულებით განსაზღვრული პირობების (მათ შორის თანხების გადახდების) შესრულებაზე მონიტორინგს, მასთან დაკავშირებული წერილების პროექტების და სხვა მასალების მომზადებას;

გ) სახელშეკრულებო (საუქციონო/საკონკურსო) პირობების დარღვევისა ან/და მათ მიერ ნაკისრ ვალდებულებათა შეუსრულებლობის (არაჯეროვნად შესრულების) გამოვლენის შემთხვევაში უზრუნველყოფს დამრღვევ პირებზე ხელშეკრულებით განსაზღვრული პირგასამტეხლოს დაკისრების ღონისძიებების განხორციელებას;

დ) ახორციელებს მონიტორინგის შედეგების გაანალიზებას, არსებული ხარვეზების გამოვლენას, წინადადებების შემუშავებას ხელშეკრულებაში აუცილებლად გასათვალისწინებელი პირობების შესახებ, რომლებიც გაუმჯობესებს ხელშეკრულების შესრულების მონიტორინგს;

ე) თუ ხელშეკრულების მხარე საპატიო მიზეზით ვერ ახდენს ხელშეკრულების მთლიანი ან რომელიმე პირობის განსაზღვრულ ვადებში შესრულებას, მხარის მომართვის შემთხვევაში საპატიო მიზეზების გათვალისწინებით, საპასუხო წერილის პროექტის სახით ამზადებს წინადადებებს შესრულებისათვის დამატებითი ვადის დაწესების შესახებ;

ვ) ხელშეკრულების მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების დარღვევისას ან არაჯეროვნად შესრულებისას, გაფრთხილების ვადის უშედეგოდ გასვლის შემდეგ ან უამისოდ წარმოადგენს წინადადებებს ხელშეკრულების ძალაში დატოვების ან/და შეწყვეტის შესახებ; ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას ახორციელებს კანონმდებლობით გათვალისწინებულ შესაბამის ღონისძიებებს, საჭიროებისას, ამზადებს მასალებს საკითხის მერიის შესაბამისი სამსახურისათვის გადასაცემად;

ზ) თუ ხელშეკრულება ითვალისწინებს მერიის მიერ შესრულების დადასტურებას, იხილავს შესრულების ხელშეკრულების პირობებთან შესაბამისობას და ამზადებს დადასტურების წერილის პროექტს;

თ) კომპეტენციის ფარგლებში უზრუნველყოფს ღონისძიებების გატარებას (ადგილზე დათვალიერება, აზომვა) მუნიციპალიტეტის იმ ქონებაზე, რომლითაც სარგებლობს ამ ქონებით მართლზომიერად სარგებლობის უფლების დამადასტურებელი დოკუმენტის არმქონე პირი და რომელიც მას სამეწარმეო საქმიანობისათვის (კომერციული მიზნით) იყენებს. წარმოადგენს წინადადებებს (დასკვნებს, მასალებს) კანონით დადაგენილი წესით სათანადო ღონისძიებების განხორციელების შესახებ.

ი) უზრუნველყოფს მოქმედი კანონმდებლობითა და შესაბამისი სამართლებრივი აქტებით მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებულ ქონებასთან დაკავშირებით სახელშეკრულებო ვალდებულებების შესრულების მონიტორინგის კუთხით სხვა უფლებამოსილებების განხორციელებას;

კ) კანონმდებლობით დადგენილი წესით უზრუნველყოფს საკურატორო მუნიციპალურ ორგანიზაციებთან თანამშრომლობასა და საქმიანობის კოორდინაციას;

ლ) კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად უზრუნველყოფს თანამშრომლობას მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული საკომუნიკაციო საშუალებებისა და ხაზობრივი ნაგებობების მესაკუთრე/მფლობელ ორგანიზაციებთან;

მ) უზრუნველყოფს საკურატორო მუნიციპალური ორგანიზაციების საქმიანობის ხარისხის გაუმჯობესების მიზნით რეკომენდაციებისა და წინადადებების შემუშავებას;

ნ) უზრუნველყოფს საკურატორო მუნიციპალური ორგანიზაციების მიერ განსახორციელებელი პროექტების დაგეგმვაში მონაწილეობის მიღებას;

ო) უზრუნველყოფს საკურატორო მუნიციპალური ორგანიზაციების მიერ განხორციელებულ პროექტებში მონაწილეობას;

პ) უზრუნველყოფს მუნიციპალიტეტის დონეზე საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმით გათვალისწინებული ღონისძიებების კოორდინაციას;

ჟ) უზრუნველყოფს საკურატორო მუნიციპალური ორგანიზაციების მიერ მუნიციპალური სერვისების მოსახლეობისათვის მიწოდების ავტომატიზაციის და ელექტრონული ფორმით მიწოდების საშუალებების დანერგვის კოორდინაციას და განხორციელებას;

რ) აანალიზებს და შეიმუშავებს წინადადებებს და პროგრამებს საკურატორო მუნიციპალური ორგანიზაციების საქალაქო მუნიციპალური სერვისების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის მიზნით;

ს) შესაბამის სტრუქტურულ ერთეულებთან ერთად მონაწილეობას ღებულობს საკურატორო მუნიციპალური ორგანიზაციების პარტნიორის უფლებამოსილების განხორციელების საკითხებზე შემოსული კორესპოდენციის განხილვაში, საპასუხო წერილების, სამართლებრივი აქტების პროექტების მომზადებაში;

ტ) უზრუნველყოფს მერიის სტრუქტურული ერთეულებისათვის საკურატორო ორგანიზაციებიდან შესაბამისი მასალების მიწოდებას;

უ) უზრუნველყოფს საკურატორო ორგანიზაციებზე გაცემული რეკომენდაციების შესრულების მდგომარეობის შესახებ ანგარიშების მომზადებას;

ფ) უზრუნველყოფს ადმინისტრაციული ერთეულების მიხედვით დაფიქსირებული სამეურნეო, კომუნალური და სხვა სახის საყოფაცხოვრობო პრობლემების აღრიცხვის ერთიანი სისტემის ფორმირებას, მოწოდებული მასალების სისტემატიზაცია-დამუშავებას, პრობლემების მოგვარების მიზნით შესაბამისი სამსახურების ჩართულობასა და მონიტორინგის განხორციელებას;

ქ) ახორციელებს მოქმედი კანონმდებლობითა და შესაბამისი სამართლებრივი აქტებით მისთვის მინიჭებულ, ასევე, კომპეტენციის ფარგლებში სამსახურის უფროსის დავალებით განსაზღვრულ სხვა უფლებამოსილებებს.

2. განყოფილება მასზე მიკუთვნებულ უფლებამოსილებებს ახორციელებს მხოლოდ სამსახურის უფროსთან შეთანხმებით.

3. განყოფილებას ხელმძღვანელობს განყოფილების უფროსი, რომელსაც კანონმდებლობით დადგენილი წესით თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს მერი.

4. განყოფილების უფროსი:

ა) ხელმძღვანელობს განყოფილების საქმიანობას, პასუხს აგებს განყოფილებისათვის დაკისრებულ მოვალეობათა შესრულებაზე;

ბ) უზრუნველყოფს განყოფილების მიერ ამ დებულებით განსაზღვრული ფუნქციების განხორციელებას;

გ) ანაწილებს დავალებებს განყოფილების საჯარო მოსამსახურეებს შორის;

დ) უზრუნველყოფს სამსახურის უფროსის ცალკეული დავალებებით გათვალისწინებული ღონისძიებების განხორციელებას;

ე) იღებს და აფასებს განყოფილების საჯარო მოსამსახურეების ანგარიშებს გაწეული საქმიანობის შესახებ;

ვ) მოთხოვნის შემთხვევაში ამზადებს და სამსახურის უფროსს წარუდგენს ანგარიშებს განყოფილების მიერ შესრულებული სამუშაოების შესახებ;

ზ) უზრუნველყოფს განყოფილების საჯარო მოსამსახურეთა მიერ მერიის შინაგანაწესის დაცვას, სამსახურის უფროსს წარუდგენს წინადადებებს საჯარო მოსამსახურეთა დაწინაურების, წახალისების ან მათ მიმართ დისციპლინური ზომების გამოყენების შესახებ;

თ) ახორციელებს საქართველოს კანონმდებლობით და სამსახურის დებულებით განსაზღვრულ სხვა უფლებამოსილებებს.

5. განყოფილების უფროსი ვალდებულია უზრუნველყოს განყოფილების ფუნქციების შესრულება და პასუხისმგებელია ამ ფუნქციების შესრულებაზე.

6. განყოფილების უფროსის არყოფნისას ან მის მიერ უფლებამოსილების განხორციელების შეუძლებლობის ან/და გათავისუფლების შემთხვევაში განყოფილების უფროსის ფუნქციებს მერის გადაწყვეტილების საფუძველზე ასრულებს განყოფილების ერთ-ერთი უფროსი სპეციალისტი.

7. განყოფილების უფროსი პასუხისმგებელი და ანგარიშვალდებულია სამსახურის უფროსი-ს წინაშე.

8. განყოფილების უფროსის თანამდებობიდან გათავისუფლების, აგრეთვე, სამსახურებრივი ურთიერთობის შეჩერების საფუძვლები განისაზღვრება საქართველოს კანონმდებლობით.“.

მუხლი 2.

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე **სულიკო თებიძე**

„დამტკიცებულია“

თვითმმართველი ქალაქის _ ბათუმის
საკრებულოს განკარგულება
2010 წლის 29 ოქტომბერი №129

განმარტებითი ბარათი

პროექტის სახელწოდება და სათაური

„ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ქონების და სერვისების მართვის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 16 მარტის №23 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ

ა) ზოგადი ინფორმაცია პროექტის შესახებ

ა.ა) პროექტის მიღების მიზეზი და მიზანი:

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 16 მარტის #23 დადგენილებით დამტკიცდა ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ქონების და სერვისების მართვის სამსახურის დებულება, რომლითაც განისაზღვრა სამსახურის და მისი სტრუქტურული ერთეულების ამოცანები და ფუნქციები, მათ შორის მუნიციპალური ქონების პოლიტიკის და განკარგვის განყოფილების, რომლის ფუნქციებშიც მუნიციპალური ქონების მართვისა და კანკარგვის საკითხებთან ერთად შევიდა მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების საკუთრებაში, სარგებლობაში ან სხვა ფორმით გადაცემისას ხელშეკრულების მხარეების მიერ ხელშეკრულებით განსაზღვრული პირობების (მათ შორის თანხების გადახდების) შესრულებაზე მონიტორინგის განხორციელებაც, მასთან დაკავშირებული საქმიანობა. როგორც ცნობილია 2018 წელში განხორციელდა ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის რეორგანიზაცია. აღნიშნულის შედეგად მუნიციპალური ქონების პოლიტიკის და განკარგვის განყოფილების 6 თანამშრომლიდან ერთი გადაყვანილი იქნა საკუთრების აღიარების განყოფილებაში და ერთი ეკონომიკური საქმიანობის ნებართვების განყოფილებაში, ხოლო განყოფილებაზე დაკისრებული ფუნქციები და მოვალეობები დარჩა უცვლელი. განყოფილების (4 საშტატო ერთეული) მიერ შესასრულებელი საქმიანობის დიდი მოცულობიდან გამომდინარე (2018 წელში ქონების მართვისა და განკარგვის საკითხებზე განყოფილებაში შემოსული და განხილულია 3500 წერილი, განცხადება და სხვა კორესპოდენცია, მათ შორის ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული სამეწარმეო და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების საკუთრებაში არსებული ქონების მართვის, სარგებლობაში გადაცემის, ამორტიზირებული ან/და გამოუყენებელი ქონების ჩამოწერის, გასხვისების და სხვა საკითხებზე. განყოფილებაში შემოსულ წერილებზე, განცხადებებსა და სხვა კორესპოდენციებზე მომზადებულია შესაბამისი მასალები - საპასუხო წერილები, საკრებულოს განკარგულების პროექტები, მერის ბრძანებების პროექტები და ა.შ. საჯარო რეესტრის ბათუმის სარეგისტრაციო სამსახურში ელექტრონულად (პროგრამულად) იქნა წარდგენილი: ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრების უფლებით პირველადი რეგისტრაციის მიზნით სულ 100 ერთეული მიწის ნაკვეთი, მათ შორის: 30 ერთეული გაჩერებების მოწყობის მიზნით; 19 ერთეული ხაზობრივი ნაგებობა; 51 ერთეული მიწის ნაკვეთი საკუთრებაში ან სარგებლობაში განკარგვის მიზნით. ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრეში არსებული სახელმწიფოს, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის და ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში რეგისტრირებული, ასევე დაურეგისტრირებელი მიწის ნაკვეთების და მასზე განთავსებული შენობა ნაგებობების პრივატიზების ან/და იჯარით

სარგებლობაში განკარგვასთან დაკავშირებით ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მოსაზრების მიღების თაობაზე შემოსულია სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოდან 104 წერილი, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროდან 141 წერილი და ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერიიდან 20 წერილი, რომლებზეც მომზადებულია საპასუხო წერილების. ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული 49 ობიექტის განკარგვის მიზნით ჩატარდა 47 ელექტრონული აუქციონი), მიზანშეწონილად მიგვაჩნია, რომ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ქონების და სერვისების მართვის სამსახურის მუნიციპალური ქონების პოლიტიკის და განკარგვის განყოფილებაზე მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების საკუთრებაში, სარგებ-ლობაში ან სხვა ფორმით გადაცემისას ხელშეკრულების მხარეების მიერ ხელშეკრულებით განსაზღვრული პირობების (მათ შორის თანხების გადახდების) შესრულებაზე მონიტორინგის განხორციელების ნაწილში დაკისრებული უფლებები და მოვალეობები დაეკისროს რეორგანიზაციის შედეგად სამსახურში ახლადშექმნილ, საქალაქო მუნიციპალური სერვისების და ორგანიზაციების კოორდინაციის განყოფილებას (5 საშტატო ერთეული), შეიცვალოს განყოფილების დასახელებაც. აღნიშნულის განხორციელების მიზნით შესაბამისი ცვლილებები შევიდეს „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ქონების და სერვისების მართვის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 16 მარტის №23 დადგენილებაში.

ა.ბ) პროექტის ძირითადი არსი:

წინამდებარე პროექტის მიღების ძირითადი არსია ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ქონების და სერვისების მართვის სამსახურის უფლებამოსილებების განყოფილებებზე ოპტიმალური გადანაწილება.

ბ) პროექტის ფინანსური დასაბუთება

ბ.ა) პროექტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო:

პროექტის განხორციელება არ მოითხოვს დამატებით ფინანსურ ხარჯებს.

ბ.ბ) პროექტის გავლენა ბიუჯეტის საშემოსავლო და ხარჯვით ნაწილზე:

ბიუჯეტის საშემოსავლო და ხარჯვით ნაწილზე პროექტის განხორციელება გავლენას არ მოახდენს.

ე) პროექტის ავტორი:

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ქონების და სერვისების მართვის სამსახური.

ვ) პროექტის ინიციატორი:

ქ. ბათუმის მუნციპალიტეტის მერია.

ზ) განმარტებითი ბარათის მომზადებაზე უფლებამოსილი პირის თანამდებობა, სახელი, გვარი და ხელმოწერა:

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის
მუნიციპალური ქონების და სერვისების
მართვის სამსახურის უფროსის
მოვალეობის შემსრულებელი დავით კოპინაძე